

ბიოლოგიურად აქტიური დანამატის ინსტრუქცია მიოფოლიკი®

ხარისხობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობა.

1 პაკეტი შეიცავს: მიო-ინოზიტოლი - 2000 მგ, ფოლიუმის მჟავა გლუკოზამინის მარილის ფორმით (6S)-5-მეთილტეტრაჰიდროფოლიუმის მჟავა - 200მკგ, ვიტამინი B12 (ციანოკობალამინი) - 2,5 მკგ.

1 პაკეტის სუფთა წონა - 2,1 გ ($\pm 5\%$). გმო-ს გარეშე.

კვებითი ღირებულება. 100გ პროდუქტის შემადგენლობა: ცილები - 0,0გ, ცხიმები - 0,0გ, ნახშირწყლები - 100გ;

შემცველობა 1 პაკეტში: ცილები - 0,0გ, ცხიმები - 0,0გ, ნახშირწყლები - 2,2გ.

ენერგეტიკული ღირებულება (კალორიულობა): 100გ პროდუქტში - 1700კჯ/400კკალ;

1 პაკეტში - 36კჯ/8 კკალ.

წამლის ფორმა: ფხვნილი.

ფუნქციური თვისებები.

მიოფოლიკის® შემადგენლობაში შედის 3 საკვანძო კომპონენტი:

- მიო-ინოზიტოლი;
- ვიტამინი B12;
- ფოლიუმის მჟავას, (6S)-5-მეთილტეტრაჰიდროფოლატის დაპატენტებული,

მეტაბოლურად აქტიური ფორმის სახით.

მიო-ინოზიტოლი მონაწილეობს მენსტრუალური ციკლის და ოვულაციის მოწესრიგებაში, ეხმარება ორგანიზმს რეპროდუქციული სისტემის ფუნქციონირებასა და ემბრიონის სწორ განვითარებაში, ხელს უწყობს ორგანოებისა და სისტემების ზოგად მეტაბოლიზმს.

ფოლიუმის მჟავა მიოფოლიკის® შემადგენლობაში წარმოდგენილია 5-მეთილტეტრაჰიდროფოლატის - მეტაბოლურად აქტიური ფორმის სახით, რომელიც არ საჭიროებს დამატებით გარდაქმნებს ორგანიზმში, ჩვეულებრივი ფოლიუმის მჟავისაგან განსხვავებით, რომელიც შედის საკვების და უმეტესი პრეპარატების შემადგენლობაში.

ვიტამინი B12 აუცილებელია ფოლიუმის მჟავის უკეთ შეთვისების უზრუნველსაყოფად, იგი აძლიერებს და ავსებს მის მოქმედებას.

მიოფოლიკი® არ შეიცავს ძროხის რძის ცილებს, ლაქტოზას, დამატკობლებს, ამიტომ შეიძლება გამოყენებული იქნას იმ ადამიანების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ ამ ნივთიერებების აუტანლობა.

თითოეული კომპონენტის მახასიათებლების შესახებ დაწვილებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, მიმართეთ შესაბამის ინფორმაციას.

მიოფოლიკის® გამოყენება რეკომენდებულია:

- ნორმალური მენსტრუალური ციკლის და ოვულაციის პროცესის ხელშესაწყობად;
- სქესობრივი უჯრედების მომწიფების ეტაპის ხელშესაწყობად;
- იმუნიტეტის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის და ცენტრალური ნერვული სისტემის მუშაობის ხელშესაწყობად;
- ღვიძლის და თირკმელების ფიზიოლოგიური მუშაობის მდგომარეობის უზრუნველსაყოფად.

სიფრთხილის ზომები.

არ გადააჭარბოთ ყოველდღიური გამოყენებისთვის რეკომენდებულ რაოდენობას. არ არის რეკომენდირებული ბიოლოგიურად აქტიური დანამატების გამოყენება კვების სრულყოფილი რაციონის ჩასანაცვლებლად. არ გამოიყენოთ ბიოლოგიურად აქტიური დანამატი ნებისმიერი კომპონენტისადმი ალერგიის არსებობისას. მიღებამდე გაიარეთ

კონსულტაცია ექიმთან. საკვების ბიოლოგიურად აქტიური დანამატი. არ წარმოადგენს წამალს.

მიღების წესი.

1-2 პაკეტი დღეში. პაკეტის შიგთავსი განზავდეს 200 მლ ოთახის ტემპერატურის წყალში, საგულდაგულოდ მოურიეთ და დალიეთ მომზადებისთანავე. მიღების რეკომენდირებული ხანგრძლივობა 3-დან 6 თვემდე.

ურთიერთქმედება სხვა პროდუქტებთან.

რაიმე სახის უარყოფითი ურთიერთქმედება არ გამოვლენილა.

ორსულობა და ლაქტაციის პერიოდი

გამოიყენება მხოლოდ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ.

ზეგავლენა ავტომობილის ან სხვა მექანიზმების მართვაზე.

უარყოფითი მოქმედება არ გამოვლენილა.

გვერდითი ეფექტები

არ გამოვლენილა.

ჭარბი დოზა

კლინიკურ პრაქტიკაში დოზის გადაჭარბება არ გამოვლენილა.

ფარმაცოლოგიური ჯგუფი

ვიტამინების კომბინაცია.

შენახვის პირობები.

ინახება 0-დან 25°C-მდე ტემპერატურაზე ორიგინალურ შეფუთვაში, მშრალ და სინათლისაგან დაცულ ადგილას. ინახება ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას. ვარგისობის ვადის გასვლის შემდეგ გამოყენება არ შეიძლება.

ვარგისობის ვადა. 3 წელი წარმოების თარიღიდან. ვარგისობის საბოლოო ვადა და სერიის ნომერი მითითებულია შეფუთვაზე.

გამოშვების ფორმა. ფხვნილი პაკეტში; 30 პაკეტი შეფუთვაში.

ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი: III, გაიცემა რეცეპტის გარეშე.

მწარმოებელი. Efferta Sp.z.o.o. Spolka Komandytowa, განსკაიას ქ. 3, ჩოსტკუვ მაზოვიეცკი, 05-152 ჩოსნუვი, პოლონეთი, Tanacetum s.r.o.-ს დაკვეთით, შვაბინსკის 1700/4, 702 00 ოსტრავა, ჩეხეთის რესპუბლიკა

სარეგისტრაციო მოწმობის მფლობელი. Amaxa LTD, 31 ჯონ ისლიპ სტრიტი, ლონდონი SW1P 4FE, გაერთიანებული სამეფო

/ყველა გვერდზე არის ხელმოწერა და დასულია შტამპი: Amaxa LTD, კომპანიის ნომერი 11359129, 31 ჯონ ისლიპ სტრიტი, ლონდონი SW1P 4FE, გაერთიანებული სამეფო/